საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდი ფლევი

დიდი ფლევი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი).

ფლევის თემის ცენტრი (სოფლები: დ. ფ., ნაცარგორა, პატარა ფლევი, ტკოცა). ზ. დ. 820 მ, ხაშურიდან 22 კმ, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 კმ. 530 მცხ. (2002).

იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ფცისწყლის სოფელთა სიაში. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სასაფლაოზე, ორი ეკლესიაა: წმ. გიორგის მცირე ეკლესია (განვით. შუა საუკ.) და წმ. გიორგის დიდი ეკლესია (XIX ს.).

ჯ. გვასალია